ON THE DATING AND MUTUAL RELATIONSHIP OF TWO MONUMENTS AT VARDISUBANI (CONTRIBUTIONS TO THE HISTORY OF THE MATERIAL CULTURE IN THE KHRAMI VALLEY)

„ვარდისუბნის“ ორი ნაგებობის დათარიღების მცდელობა და მათი ურთიერთმიმართების საკითხი (ხრამის ხეობის მატერიალური კულტურის ისტორიიდან)

TEIMURAZ KHUTSISHVILI
Doctor of Mathematical Science, Caucasus UniversityLecturer
Tbilisi, #1, Paata Saakadze Str., 0102 Tbilisi, Georgia
+9955595337262,
research_center@cu.edu.ge
https://orcid.org/0009-0005-6287-3020

NODAR ARONISHIDZE
The George Chubinashvili National Research Centre
for Georgian Art History and Heritage Preservation - science worker,
Tbilisi, Atoneli str.,#9, 0105, Georgia,
+995555901139, nm.aronishidze@gmail.com
https://orcid.org/0009-0001-3706-7925

Abstract. The present study examines several aspects concerning the dating and mutual relationship of two monuments located in the Khrami (also known as Ktsia) Valley. Both structures at Vardisubani (modern-day Bediani) are well known in scholarly literature, where various and sometimes contradictory opinions have been expressed regarding their chronology and typology. From a typological perspective, both monuments are undomed structures of roughly similar layout: one represents a distinctly defined three-church basilica type, while the other—smaller in scale—approaches this type to a certain extent but is generally considered a hall church with annexes.

The paper presents an analysis of existing scholarly literature and historical sources concerning these monuments, as well as an attempt at their comparative study, although this aspect of the research remains unfinished. The two structures are situated within the same village, approximately 500 meters apart. According to Prince Vakhushti Bagrationi, the historical name of the village is Vardisubani, whereas in the second half of the twentieth century it was renamed Bediani.

According to the scholarly consensus, the smaller church of St. George, located in the center of the village, is dated to the 9th–10th centuries, whereas the construction of the larger three-church basilica of the Virgin is generally assigned to a broader time span between the 15th and 17th centuries.

This study discusses the scholarly opinions expressed in previous research and, based on an analysis of the artistic and stylistic features of the monuments and the available paleographic material, proposes a revised attempt at their dating. In addition, special attention is paid to the issue of the spatial interrelation between these two monuments situated within a small area—an aspect which, through planimetric analysis, allows for the formulation of particularly significant conclusions.

Key words: Khrami Valley, Monuments of the Khrami Valley, Bediani Convent, Church of Vardisubani, Church of the Virgin in Bediani, Umadlo Sanctuary, Basilica of Bediani, Basilica of Vardisubani, Three-Church Basilica, Churches of the Town of Bediani.

თეიმურაზ ხუციშვილი
მათემატიკის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის ლექტორი
თბილისი, პაატა სააკაძის ქ., #1, 0102, საქართველო
+9955595337262,
research_center@cu.edu.ge
https://orcid.org/0009-0005-6287-3020

ნოდარ არონიშიძე
გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა
დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, ათონელი ქ., #9, 0105, საქართველო
+995555901139, nm.aronishidze@gmail.com
https://orcid.org/0009-0001-3706-7925

აბსტრაქტი. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ხრამის, იგივე ქციას ხეობის ორი ძეგლის დათარიღებისა და მათი ურთიერთმიმართების რამდენმე ასპექტი. სამეცნიერო ლიტერატურაში ვარდისუბნის (თანამედროვე დაბა ბედიანი) ორივე ნაგებობა ცნობილია და მათ შესახებ გამოთქმულია სხვდასხვა მოსაზრება. ტიპოლოგიური თვალსაზრისით ჩვენ საქმე გვაქვს დაახლოებით ერთგვაროვანი გეგმარების, უგუმბათო ნაგებობებთან, რომელთაგან ერთს მკვეთრად გამოხატული სამეკლესიიანი ბაზილიკის წყობა აქვს, ხოლო მეორე, შედარებით მცირე ზომის, მეტ-ნაკლებად ახლოსაა სამეკლესიიან ბაზილიკასთან, თუმცა მიჩნეულია დარბაზულ ეკლესიად - მინაშენებით.

ნაშრომში წარმოდგენილია ხსენებულ ნაგებობათა შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და საისტორიო წყაროების ანალიზი და უშალოდ ძეგლთა კომპარატივისტული კვლევის მცდელობა, თუმცა კვლევის ეს ასპექტი არ გახლავთ დასრულებული. დასახელებული ნაგებობანი ეთმანეთისგან დაახლოებით 500 მეტრითაა დაშორებული და მდებარეობს ერთ სოფელში, რომლის ისტორიული სახელი, ვახუშტი

ბატონიშვილის მიხედვით, ვარდისუბანია, ხოლო XX საუკუნის მეორე ნახევარში მას ეწოდა ბედიანი. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ვარდისუბნის მცირე, წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც სოფლის ცენტრშია აგებული, IX-X საუკუნეებით თარიღდება, ხოლო ღვთისმშობლის დიდი, სამეკლესიიანი ბაზილიკის აგების დროითი დიაპაზონი XV-XVII საუკუნეებს შორის მერყეობს.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი მოსაზრებები და ნაგებობათა მხატვრულ-სტილისტური ანალიზისა და პალეოგრაფიული მასალის საფუძველზე შემოთავაზებულია მათი დათარიღების მცდელობა. ამასთანავე საყურადღებოა უშუალოდ ამ მცირე მონაკვეთზე განთავსებული ორი ნაგებობის ურთიერთმიმართების საკითხი, რომელიც, გეგმარებითი ანალიზზის საფუძველზე, მეტად მნიშვნელოვანი დასკვნების შესაძლებლობას გვაძლევს.

საკვანძო სიტყვები: ხრამის ხეობა, ხრამის ხეობის ძეგლები, ბედიანის დედათა მონასტერი, ვარდისუბნის ეკლესია, ბედიანის ღვთისმშობლის ტაძარი, უმადლო საყდარი, ბედიანის ბაზილიკა, ვარდისუბნის ბაზილიკა, სამეკლესიიანი ბაზილიკა, დაბა ბედიანის ეკლესიები.

შესავალი. წარმოდგენილი თემის სამეცნიერო ღირებულებასა და მის აქტუალობას განსაზღვრავს სადღეისოდ არსებული ინფორმაცია, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ძლიერ მსხვაობარი სახითაა მოცემული. კვლევის ფოკუსირება ვარდისუბნის ორი კონკრეტულ ნაგებობაზე განსაზღვრულია ერთგვარი გაურკვევლობითა თუ უზუსტობით, რომელიც აღნიშნული ტერიტორიის ისტორიულ სახელს უკავშირდება და მოცემულია ვახუშტი ბატონიშვილთან. ამასთანავე გარკვეული სირთულეები გვხვდება ძეგლების დათარიღების საკითხთან მიმართებითაც, რადგან მეცნიერთა ნაწილი ვარდისუბნის სამეკლესიიან ბაზილიკას XVII საუკუნის მშენებლობად წარმოგვიდგენს, ხოლო ნაწილს დასაშვებად მიაჩნია აღნიშნული ძეგლის XIV-XV საუკუნეებით განსაზღვრა.

წინამდებარე თემის აქტუალობას კიდევ უფრო მკაფიოს ხდის ის გარემოება, რომ უშუალოდ ვარდისუბნის ტერიტორიაზე მოცემულია კიდევ ერთი, მცირე ნაგებობა, რომელიც შედარებით ადრეული ხანითაა განსაზღვრული და IX-X საუკუნეებით თარიღდება. საყურადღებო ამ შემთხვევაში ის გახლავთ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ერთ მცირე მონაკვეთზე, სხვადასხვა დროს არგებულ ორ ეკლესიასთან, რომელთა ტიპოლოგიური ურთიერთმიმართება უთუოდ მრავლისმთემელია და მნიშვნელოვანი დასკვენების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა, თუნდაც მხოლოდ სამეკლესიიანი ბაზილიკის გვიანი გამოვლინებების მიზეზებსა და ფორმებზე.

თემის აქტუალობასთან მიმართებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვადრისუბნის ორივე ნაგებობა და განსაკუთრებით დიდი, სამეკლესიიანი ბაზილიკა, არაერთგზისაა მოხსენიებული სამეცნიერო ლიტერატურაში, ტურისტულ ბუკლეტებსა და ზოგადად ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის მოცულობით ნაშრომებში, როგორც გვიანი ნიმუში სამეკლესიიანი ბაზილიკისა. ეს კი გვავალდებულებს საკითხის მეტი სიღრმითა და

სიზუსტით შესწავლას, რადგან თავი ავარიდოთ ისეთ შეცდომებსა და გაურკვევლობებს, როგორიც გახლავთ ლოკაციის ტოპონიმის განსაზღვრა თუ ძეგლთა დათარირება.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი კვლევის მიზანია თავი მოვუყაროთ აღნიშნული ძეგლების შესახებ არსებულ სამეცნიერო ცოდნას და ურთიერთ შეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე გამოვარკვიოთ საკითხის რეალური მნიშვნელობა. ამასთანავე წინამდებარე კვლევის მიზანია ერთგვარად შემაჯამებელი სახე მიეცეს და კრიტიკულად გაანალიზდეს, როგორც საისტორიო წყარეობი, ისე ნაგებობათა დათარიღების შესახებ არსებული სამეცნიერო ნაშრომები. კვლევის მიზანია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ავსახოთ, ერთი მხრივ, სოფლის ლოკალიზების შესახებ არსებული ცნობების, ხოლო მეორე მხრივ, ამავე პრინციპით წარმოვადგინოთ უშუალოდ ეკლესიათა კვლევის ქრონოლოგიური ქარგა. სხვადასხვა მასალის შეჯერების საფუძველზე და განსაკუთრებით ნაგებობათა მხატვრულ-სტილისტურ და ისტორიულ-პალეგრაფიულ ანალიზზე დაყრდნობით, კვლევის მიზანია განისაზღვრო საკვლევ ობიექტთა აგების დროითი დიაპაზონი.

ხრამის ხეობის, ჩვენ მიერ შერჩეული, ძეგლების კვლევის მთავარი საკითხი დაკავშირებულია მათ დათარიღებასთან, რომელიც თავის მხრივ, მოიცავს სხვადასხვა რიგის პრობლემათა მთელ წყებას. მნიშვნელოვანია, რომ უშუალოდ ნაგებობათა დათარიღება ვერ მოხერხდება დამოუკიდებლად, გვიანი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრებისგან განცალკევებით, რაც გვაიძულებს, თუნდაც ზოგადი სახით მაინც, განსჯის საგნად ვაქციოთ აღნიშნული დროის ხუროთმოძღვრების ზოგადი ტენდენციები. გარდა ამისა, საყურადღებოა თავად რეგიონის, ქვემო ქართლის და უფრო კონკრეტულად კი ხრამის ხეობის სატაძრო არქიტექტურის განვითარების ისტორია, რომლის ფონზეც კიდევ უფრო მკაფიოდ გამოინაკვთება ჩვენი მიერ შერჩეული საკვლევი ობიექტების მხატვრულ, ისტორიულ და არქიტექტურულ კონტექსტთა რაგვარობა. აღსანიშნავია, რომ შერჩეული თემის პრობლემატიკა არ შემოიფარგლება მხოლოდ არქიტექტურის სირთულეებით და ის თითქმის თანაბარმნიშვნელოვნად მოიცავს, როგორც ისტორიის, ისე ისტორიული გეოგრაფიისა და პალეოგრაფიის საკითხებს, რამდენადაც ჩვენ საქმე გვაქვს კომპლექსურ საკითხთან და კვლევითი მიდგომა იმთავითვე ორიენტირებული იყო ინტერდისციპლინური მეთოდოლოგიური მიდგომის მნიშვნელოვნებაზე. ამდენად, კვლევის ფარგლებში არსებით პრობლემად იქცა ისტორიული გეოგრაფია, რადგან მოგვიწია საკვლევი ობიექტების განთავსების არეალის ისტორიული ტოპონიმის მოძიება და მისი დაკავშირება საისტორიო წყაროებსა თუ ისტორიულ საბუთებში მოხსენიებულ კონკრეტულ ტოპონიმთან. აღსანიშნავაი, რომ ეს საკითხი თითქმის გადაწყვეტილი გახლდათ ქართულ საისტორიო თუ სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურაში, თუმცა თავი იჩინა რამდენიმე მცირე უზუსტობამ თუ გაურკვევლობამ, რომლის „გასწორებაც“ ჩვენი კვლევის საგნად იქცა იმთავითვე.

საყურადღებოა, რომ წინამდებარე ძეგლების შესწავლის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა და როლი ეკისრება პალეოგრაფიას. ჩვენ ხელთ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც აღნიშნული ძეგლების კვლევას შეეხება ერთგვარი თვითკმარობით ხასიათდება - ყოველი ცალკეული კვლევა აქცენტირებულია ძეგლთა ამა თუ იმ პრომლემაზე, თუმცა იშვიათია რამდენიმე რიგის, კრიტიკული საკითხის თავმოყრის მცდელობა, რამაც

წარმოქმნა ვითარება, სადაც ჩვენს წინაშეა დამოუკიდებლად შესწავლილი ისტორიული გეოგრაფიის, ისტორიის, არქიტექტურისა და პალეოგრაფიის საკითხები, რომლებშიც ურთიერთგაზიარებული, მხვედრი ტექსტები არ ფიქსირდება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ძეგლთა შესწავლის კონტექსტში პალეოგრაფიაა ამ მხრივ არსებული მასალები მნიშვნელოვანწილად აზუსტებს საკვლევ ობიექტთაგან ერთ-ერთის თარიღს, რომლის შესახებაც რადიკალურად განსხვავებული ვერსიებია გამოთქმული.

სწორედ ზემოთ ხსენებული მიზეზების გათვალისწინებით, წინამდებარე კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევის პროცესში აქცენტი გაკეთდა ინტერდისციპლინურ მიდგომაზე, რომელიც ყოველგვარი ძალდატანებისა და სავალდებულო მოცემულობის გარეშე, კვლევის პროცესის ბუნებრივი ხაზის განვითარებას წარმოადგენდა. ცხადია, გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭება უშუალოდ სახელოვნებათმცოდნეო კვლევით მიდგომას, რომლის წიაღშიც, როგორც დამხმარე დისციპლინები, შემოდის ისტორია, ისტორიული გეოგრაფია და პალეოგრაფია.

შესაბამისად, კვლევის პროცესში დამუშავებულ იქნა ისტორიული წყაროები და საბუთები. სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურა, სადაც კი გაკვრით მაინც იყო ნახსენები ჩვენი კვლევის ობიექტები. ამავე კონტექსტში შესწავლილ იქნა ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს სააღრიცხვო ბარათები და ვებ-გვერდზე გათავსებული სხვა ინფორმაცია. დამუშავებული ლიტერატურის დიდი ნაწილი ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს უკავშირდება. ამავდროულად, კვლევაში შესულია სარესტავრაციო პროექტების ანალიზი, საარქივო დოკუმენტაცია და მასალები.

კვლევის მეთოდები. ხრამის ხეობის მატერიალური კულტურის, განსაკუთრებით სატაძრო ხუროთმოძღვრების კვლევის კონტექსტში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ინტერდისციპლინური კვლევითი მიდგომის პრინციპებს, რაც მეტწილად განპირობებულია თავად შემორჩენილი მემკვიდრეობის სპეციფიკითა და დაცულობის ხარისხით. ამასთანავე საყურადღებოა ის გარემოება, როგორც არსებითი ფაქტორი მეთოდოლოგიის განსაზღვრისთვის, რომ აღნიშნული რეგიონის მატერიალური კულტურის სააღმშენებლო ისტორია, პირველადი წყაროების, ნარატიული, სოციალური თუ დიპლომატიური წყაროების სახით, იშვიათად მოგვეპოვება. საეკლესიო არქიტექტურის კვლევის კონტექსტში მნიშვნელოვანი შემაფერხებელია უშუალოდ ტაძართა ინტერიერსა თუ ექსტერიერში არარსებული ლაპიდარული წარწერები.

აღნიშნულ ფაქტორთა გათვალისწინებით, წინამდებარე კვლევის მეთოდოლოგია გულისხმობს კვლევით მიდგომათა ერთგვარ სინთეზსს, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უშუალოდ სახელოვნებათმცოდნეო მიდგომას – ძეგლთა კომპარატივისტულ შესწავლასა და მხატვრულ-სტილისტურ ანალიზს. მოცემული მეთოდი გახლავთ ის უმთავრესი მიდგომა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია წარმოდგენილი ნაგებობების შესახებ მაქსიმალურად მრავლისმომცველი, მეტ-ნაკლებად მაინც ობიექტური და ტევადი ინფორმაციის მოპოვება. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს

მაშინ, როდესაც არ მოგვეპოვება საკმარისი რაოდენობის ისტორიული წყაროები, სხვა ტიპის საბუთები და არქეოლოგიური გათხრების შედეგები ან ანგარიშები.

გარდა ხელოვნების საისტორიო მეცნიერებისა მეთოდოლოგიური მიდგომა გულისხმობს მატერიალური კულტურის სპეციფიკური შესწავლა-ანალიზის პარალელურად ისტორიული ფონის, წყაროებისა და მონაცემების ანალიზს, რომელიც მეტნაკლებად მაინც შეიძლება უკავშირდებოდეს შესასწავლი ობიექტების დროისა თუ გარემოს ფორმირების პროცესს. აღსანიშნავია, რომ სხვაგვარად შეუძლებელი იქნება, ერთი მხრივ, ხრამის ხეობის სატაძრო ხუროთმოძღვრების ძეგლთა ჩასახვა-განვითარების ისტორიული კონტექსტის წარმოჩენა, მეორე მხრივ კი, ნაგებობათა ამ ჯგუფის დათარიღება.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ შერჩეული ყველა შესაძლო მეთოდოლოგიური მიდგომა ეფუძნება საველე სამუშაოებს, რომლის გარეშეც შეუძლებელია რაიმე ტიპის მეთოდური კვლევის ჩატარება. ამდენად, კვლევის მეთოდებისა თუ კვლევითი მიდგომის ფარგლებში უთუოდ ნაგულისხმევია მასშტაბური და ინტენსიური სავალე სამუშაოები და მისი შედეგები.

კვლევის მიზანი. წარმოდგენილი კვლევის მიზანი, შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული თვალსაზრისით მოკრძალებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან ის მოიცავს სოფელ „ვარდისუბნის“ (დღეს წალკის მუნიციპალიტეტის სოფელი ბედიანი) ორი საკულტო ძეგლიდან ერთის, ღვთისმშობლის შობის სამეკლესიიანი ბაზილიკის დათარიღების მცდელობას. აღსანიშნავია, რომ კვლევის ამ ეტაპზე ჩვენ ვეყრდნობით ისტორიულ ანალიზსა და ხუროთმოძღვრების მხატვრულ-სტილისტურ თუ კომპარატივისტულ კვლევას. მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ჯერ კიდევ წინაა, როგორც ნაგებობის მცირე ფრაგმენტის ზედაპირზე შემორჩენილი წარწერის პალეოგრაფიული ანალიზი, ისე ქვემო ქართლის საისტორიო საბუთებისა თუ წყაროების ინტერდისციპლინური კონტექსტით კვლევა, რაც გაცილებით უფრო სრულფასოვანსა და კატეგორიულს გახდის კვლევის შედეგებს.

ანალიზი. წინამდებარე წერილი მიზნად ისახავს ერთი მხრივ, ხრამის ხეობის, ახლანდელი სოფელი ბედიანის ორი ნაგებობის დათარიღებას, ხოლო მეორე მხრივ, მათი ზოგად-არქიტექტურული ხასიათის ურთიერთმიმართების წარმოჩენას. ხსენებულ ძეგლთა ტიპოლოგიური კუთვნილებისა თუ სივრცით-გეგმარებითი მახასიათებლების გამორკვევამდე, არსებითად მიგვაჩნია მცირე, თუმცა საკმაოდ საყურადღებო მონაცემების ანალიზი, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაშია „გაბნეული“. აქვე უნდა ითქვას, რომ „ვარდისუბნის“ მოცემული ძეგლების შესახებ დამოუკიდებელი კვლევა, დასრულებული სამეცნიერო წერილის სახით, არ განხორციელებულა, რასაც თავისი მიზეზები აქვს – ერთი მხრივ, ის, რომ მეცნიერთა მიერ მოცემული არქიტექტურული ძეგლები იმთავითვე გარდამავალი ხანის და გვიანი შუა საუკუნეების ნიმუშებად იქნა მიჩნეული, ხოლო მეორე მხრივ, მათი არქიტექტურული ღირებულება და მხატვრულ-ისტოიული მნიშვნელობა ვერასგზით „დაიკვეხნის“ გამორჩეულობას, როგორც სამშენებლო მასშტაბითა თუ ტიპოლოგიით, ისე მათი „სამოსელის“ (რელიეფები, მოხატულობა, წარწერები) ისტორიული ცოდნა-ღირებულებით. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა, კომპლექსური ტიპის ნაშრომში,

სადაც განხილულია ქვემო ქართლის, თრიალეთის თუ ხრამის ხეობის ხუროთმოძღრული მემკვიდრეობა, ორივე ეს ნაგებობა იხსენიება ისევე, როგორც ქართული არქიტექტურის განვითარების ისტორიაში, გვიანი შუა საუკუნეების სააღმშენებლო ნიმუშთა კონტექსტში.

ვფიქრობთ, წინამდებარე ნაგებობათა შესწავლამდე არანაკლებ მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს მათი განთავსების არეალის, ლოკალიზების საკითხი ისტორიული გეოგრაფიის კონტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ ხრამის ხეობას, უშუალოდ ქციის ხრამს თუ საკუთრივ ხსენებულ ძეგლებს, პირდაპირ თუ ირიბად, არაერთი სამეცნიერო ნაშრომი ეხება, რჩება არსებითად მნიშვნელოვანი კითხვები, რომლებიც კვლავაც საჭიროებს გამორკვევასა და დაზუსტებას. წარმოდგენილი რეგიონი თუ კონკრეტულად ხრამის ხეობა, ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით საგანგებოდ იქნა შესწავლილი. უალტერნატივოდ პირველადი და გამორჩეული სამეცნირო ღირებულების მქონე ცნობი დასახელებული გეოგრაფიული გარემოს შესახებ მოცემულია ვახუშტი ბატონიშვილთან, რომელიც განმარტავს: „ხოლო ამ თრიალეთს საშუალსა დის მდინარე ქცია, წოდებული, ანუ ვინაჲთგან აქცევს ჴიდთა, რავდენცა მტკიცე ქვიტკირისა იყოს, მის გამო იწოდება. ესე გამოდის შავრაშეთის მთასა, გამოვლის ნარიანს, თრიალეთს, ქციის ჴრამსა და მიერთვის ხუნანს მტკუარსა და მარადის დის აღმოსავლეთად და თრიალეთს მოდის მდორედ, ხოლო ეძანს დაჴრამდების“ (ვახუშტი, 1973:318-319). გარდა გეოგრაფიული დახასიათებისა, მასთანვეა მოცემული საკვლევ ობიექტთაგან ერთ-ერთის მდებარეობა: „ახალქალაქიდამ დის ქცია სამჴრით დაბას ქციისამდე. მოდამნახეს ქუეით არს ვარდისუბანს მონასტერი უგუმბათო, შუენიერს ადგილს. მას ქუეით ერთვის ქციას ჴევი კლდეისისა, გამოსდის ბენდერის გამოკიდებულს მთასა“ (ვახუშტი, 1973:321). ისე ჩანს, თითქოს ბაგრატიონ გეოგრაფოსთან ძეგლის ლოკალიზებისა თუ გეოგრაფიული ერთეულის ტოპონიმის დადგენისთვის ყველა საჭირო ინფორმაციაა მოცემული, თუმცა აღნიშნული საკითხის ესოდენი სიმარტივე რთულდება სვადასხვა მეცნიერის მიერ მოცემული ამონარიდების ინტერპრეტაციის პროცესში და იმავდროულად, დასახელებული არეალის თანამედროვე ლოკალიზების მცდელობებში.

პირველი მკვლევარი, რომელმაც წინამდებარე ძეგლების იდენტიფიცირება მოახდინა, სამეცნიერო თვალსაზრისით აღწერა და, გარკვეული თვალსაზრისით, შეისწავლა კიდევაც – ექვთიმე თაყაიშვილია. XX საუკუნის დასაწყისში მან არსებითად მნიშვნელოვანი დაზვერვითი სამუშაოები აწარმოა გარდა სხვა ყველაფრისა, უშუალოდ ხრამის ხეობაშიც, სადაც გამოავლინა და აღნუსხა ყველა, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაგებობა (თაყაიშვილი, 2018:305-307). იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ექვთ. თაყაიშვილის აღწერა ძალზე მოკლეა, თუმცა მოიცავს უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას ორივე იმ ძეგლის შესახებ, რომლებიც ჩვენი კვლევის მთავარ ობიექტებს წარმოადგენს.

ნაგებობათა მდებარეობა და მათი იდენტიფიცირება ვახუშტი ბატონიშვილის მიერ ჩამოთვლილ სოფლებთან, კვლევის ერთ-ერთი მთავარი საგანი იყო და დღესაც საჭიროებს გარკვეულ დაზუსტებას. საყურადღებოა, რომ ექვთ. თაყაიშვილი აღნიშნულ ნაგებობათაგან ერთს სოფელ „ვარდისუბასს“ მიაკუთვნებს ვახუშტისეული სიიდან, რომელიც იმავე ვახუშტის რუკაზე „ვარდის-ჭალის“ სახელითაცაა დატანილი. კლდეისიდან გომარეთისაკემ მიმავალ გზაზე, მდინარე ხრამის სანაპიროებზე მოძრაობისას უნახავს ექვთ. თაყაიშვილს

რამდენიმე ძეგლი, რომელთაც თანმიმდევრობით აღწერს და სწორედ მათ შორისაა „ვარდისუბნის“ ქვედა და ზედა ეკლესიები. აქვე უნდა აღინიშნოსს, რომ ექვთ. თაყაიშვილი ზოგ შემთხვევაში სწორად ასახელებს ნაგებობათა მიმართებას მდ. ხრამთან, ხოლო ზოგან ის აშკარად ცდება. ასე მაგალითად, ლიპარიტის უნბისა და ქციის ნამონასტრალებს, რომლებიც „ვარდისუბნის“ სიახლოვეს მდებარეობენ, ის მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირზე მონიშნავს ისევე, როგორც თავად „ვარდისუბნის“ ქვედა ეკლესიას. რაც შეეხება ზედა, დიდ ნაგებობას, რატომღაც მკვლევარი მას მდინარის მარცხენა ნაპირზე ასახელებს, რაც ჩვენთვის გაუგებარია. მივიჩნევდით, რომ ეს უბრალოდ მექანიკური შეცდომაა, რომ არა ექვთ. თაყაიშვილის ზედმიწევნით ზუსტი აღწერა მოგზაურობისა. ამ შემთხვევაში შესაძლებლად მიგვაჩნია დავუშვათ, რომ მან ტექსტი საექსპედიციო ჩანაწერების მიხედვით ოდნავ მოგვიანებით გამართა და სწორედ ამ დროს მოხდა ძეგლის მდებარეობის არევა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვედა ნაგებობას ექვთ. თაყაიშვილი პირდაპირ არ მიაწერს სოფელ „ვარდისსუბანს“, მაგრამ აღწერს ზედა ეკლესიამდე, რომელიც ამ უკანასკნელთან ძალზე ახლოს მდებარეობს. ამრიგად, ნაგებობათა იდენტიფიცირება და მათი გაიგივება ვახუშტი ბატონიშვილის სოფლების ჩამონათვალთან, მეტადრე სოფელ „ვარდისუბანთან“, მიგვაჩნია, რომ მართებული უნდა იყოს. ვიდრე ძეგლთა ხუროთმოძღვრების შესახებ ექვთ. თაყაიშვილისეულ ანალიზს მოვყვებით, ისიც უნდა ვახსენოთ, რომ „ვარდისუბნის“, იგივე „ვარდის-ჭალის“ ზედა ეკლესიას მეცნიერი „მონასტრის“ სახელითაც მოიხსენიებს: „...შემდგომ გზაზე გვხვდება ნასოფლარები და პატარა ეკლესიის ნანგრევები, რომელთა აღწერაც არ ღირს. როდესაც გადავიარეთ მდ. ხრამი, მალევე მივედით დიდ ეკლესიასთან, რომელსაც ადგილობრივები „მონასტერს“ ეძახიან“ (თაყაიშვილი, 2018:305).

როგორც უკვე ითქვა ექვთ. თაყაიშვილი ძალზე მოკლე აღწერასა და მცირე ანალიზს გვთავაზობს ორივე ეკლესიაზე. აქედან, პირველი, ქვედა ეკლესიის შესახებ მხოლოდ ერთი აბზაცია წარმოდგენილი, სადაც ძეგლის აღწერის გარდა მკვლევარი აღნიშნავს, რომ ნაგებობას ეტყობა გადაკეთებები. მისი თვალსაზრისით სახეცვლილების, აღდგენისა თუ გადაკეთების ერთ-ერთი მთავარი მანიშნებელი აღმოსავლეთი ფასადის ჩრდილეთ მხარეს, წყობის ზედა ნაწილში ჩასმული სარკმლის თავსართი ქვაა, რომელიც გაფორმებულია რკალური, გადანაკეცებიანი წარბითა და შუა არეზე აღმართული რელიეფური ჯვრით. სწორედ ამგვარი სარკმლის თავსართი ამკობს იმავე აღმოსავლეთი ფასადის ცენტრალურ, საკურთხევლის სარკმელს. ნაგებობის სხვა ნაწილების (ჩრდილოეთი და სამხრეთი „მინაშენები“) ავთენტიკურობაზე ავტორი დამატებით აღარ მსჯელობს (ნახ. 1, სურ.1).

გაცილებით უფრო ვრცელი მსჯელობა ეთმობა „ვარდისუბნის“, „ვარდის-ჭალის“ ზედა, დიდ ეკლესიას: „მონასტერი, ნიშნავს მონასტერს... აქ ვახუშტისთანაც აღნიშნულია მონასტერი, მაგრამ ადგილს ადრე ერქვა ვარდისუბანი, რუკაზე ვარდის-ჭალა... ამრიგად, ვარდისუბნის მონასტერი მდებარეობს ხრამის მარცხენა სანაპიროზე, მოდიმნახეს ციხესიმაგრესა და ლიპარიტის უბანს შორის“ (თაყაიშვილი, 2018:306). ნაგებობის ტიპოლოგიური თავისებურების შესახებ ექვთ. თაყაიშვილი დასაწყიშივე შენიშნავს: „მონასტრის მთავარი ტაძარი, რომელსაც ბაზილიკის სახე აქვს, კარგადაა შემორჩენილი… ოთხკუთხა ფორმისაა და აქვს მინაშენები მთელ სიგრძეზე ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან...“ (თაყაიშვილი, 2018:306)

(ნახ. 2-3). აქვე საყურადღებოა, რომ აღმოსავლეთი ფასადის სარკმელთა კომპოზიციური აღწერისას ექვთ. თაყაიშვილი ასახელებს ზედა, შედარებით მცირე სარკმლის ხის ბუდეს, რომელიც ჭვირული ხვრელებით ყოფილა შემკული, სამწუხაროდ ეს უკანასკნელი დღეს აღარ არსებობს (სურ. 2). ექვთ. თაყაიშვილის ხედვით ტაძრის მინაშენები უეჭველად მისი თანადროულია. აქ მოკლედ გვსურს შევნიშნოთ, რომ ტაძრის ტიპოლოგიური ანალიზისას ექვთ. თაყაიშვილი იყენებს განმარტებას – ეკლესია ორმხრივი მინაშენებით, რაც, რა თქმა უნდა, აღნიშნულ შემთხვევაში დანამდვილებით ნიშნავს სამეკლესიიან ბაზილიკას, თუმცა ისიც სრულებით ცხადია, რომ ამგვარი სახელდებით მეცნიერი ვერ ისარგებლებდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ტერმინი სამეკლესიიანი ბაზილიკა გაცილებით გვიან შემოიტანა გ. ჩუბინაშვილმა, ვიდრე ექვთ. თაყაიშვილი აღნიშნულ ძეგლებზე მუშაობდა.

მეცნიერის აღნიშვნით, რაც ძალზე არსებითია ნაგებობის ტიპოლოგიური კუთვნილების დასადგენად, ჩრდილოეთი და სამხრეთი „მინაშენების“ აღმოსავლეთი მონაკვეთები, რომლებიც მისივე თქმით „განსაკუთრებული სამლოცველოებია“ (თაყაიშვილი, 2018:306). მისი ეს განმარტებითი ტექსტი ირიბად, რაღა თქმა უნდა, გულისხმობს სამომავლოდ ამ ტიპის ეკლესიათათვის მისადაგებულ სახელდებას – სამეკლესიიანი ბაზილიკა. მცირე, თუმც კი არსებითი ელემენტებიდან საყურადღებოა, რომ ექვთ. თაყაიშვილი შენიშნავს ტაძარში კანკელის ფრაგმენტების, ტაძრის მცირე მოდელისა და ცენტრალური ეკლესიის მთელ პერიმეტრზე შემოვლებული დასაჯდომელი შევერილს არსებობას. მეცნიერის ყურაღების მიღმა, ცხადია ვერ დარჩებოდა ნაგებობის, აგრერიგად სახასიათო, „შიშველი“ და მოურთველი ფასადები: „...იშვიათად შეიძლება საქართველოში ასეთი მნიშვნელოვანი ქვის ეკლესია ნახო ასეთი გლუვი კედლებით“ (თაყაიშვილი, 2018:306) (სურ. 3-4). დასასრულ ექვთ. თაყაიშვილის აღწერა-ფიქსაციის ტექსტიდან საგანგებოდ გამოვყოფთ იმ ნაწილს, სადაც საუბარია ნაგებობის კორპუსზე არსებული წარწერის შესახებ, სადაც მეცნიერი აღნიშნავს: „მხოლოდ ერთ მასიურ ქვაზე, საშუალო რელიეფური ჯვრით, რომელიც ახლა დევს სამხრეთი მინაშენის შესასვლელის თავზე, შიდა მხრიდან, იყო ჩემთვის უშვეულო ორსტრიქონიანი წარწერა, მაგრამ პირველი სტრიქონი სპეციალურად, ბარბაროსულად იყო წაშლილი – მეორე შემორჩენილია. ეს, რაღაც უცნაური წარწერა ან თურქულია, ან არაბული და თან ქართული, მხედრული ასოების მინარევებით“ (თაყაიშვილი, 2018:307). აქვე აღნიშნავს ექვთ. თაყაიშვილი, რომ ეს წარწერა მის მიერ ხელით იქნა გადმოღებული, თუმცა საიმდროოდ მისი გამშიფრავი ვერ მოიძებნა. ამავე ქვაზე, მეცნიერის თქმით მოცემულია რელიეფური ჯვარი, რომლის მიდამოებიც შემკულია ბერძნული წარწერებით: I˜C X˜C HIKA.

ლ. რჩეულიშვილი, რომელმაც აღნიშნული ძეგლები ორგზის მოინახულა, გამოთქმული აქვს რამდენიმე, ძალზე საყურადღებო მოსაზრება, როგორც ძეგლების ტიპოლოგიის, ისე მათი მხატვრულ-სტილისტური მახასიათებლების შესახებ, რომელთა ერთობლიობითაც მკვლევარი გარკვეული, ზოგად-ეპოქალური დროითი დიაპაზონის დადგენას ახერხებს. მოკლედ ვიტყვით, რომ ლ. რჩეულიშვილი, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის საკვლევი ექსპედიციების ფარგლებში, მეცნიერთა ჯგუფთან ერთად, აღნიშნულ ხეობაში ორჯერ – 1944 და 1970 წელს იმყოფებოდა. ძეგლების მდებარეობის შესახებ

ის ძალზე მოკლე აღწერით შემოიფარგლება და საკუთარ დღიურში შენიშნავს, რომ „მონასტერი“ დაბლა, ხრამის ხეობაში მდინარის მარჯვენა ნაპირზე“ მდებარეობს (რჩეულიშვილი, 1994:62). აქ საყურადღებოა, რომ ექვთ. თაყაიშვილის მსგავსად, მასაც „მონატერი“ მოხმობილი აქვს, როგორც ტოპონიმი, თუმცა ამაზე ქვემოთ. აქვე მოკლედ შევნიშნავთ, რომ ექვთ. თაყაიშვილსა და ლ. რჩეულიშვილს აღწერების მიხედვით აშკარაა, რომ საუბარი ერთსადაიმავე ძეგლს შეეხება და ეს არის „ვარდისუბნის“ ზედა, ანუ დიდი ეკლესია. ამასთანავე ლ. რჩეულიშვილი მოიხილავს იმავე სოფლის ქვედა ეკლესიასაც, რომელსაც იგი „უმადლო საყდრის“ სახელით მოიხსენიებს. ჩვენთვის, კვლევის ამ ეტაპზე, უცნობია თუ რა წყაროზე დაყრდნობით უწოდებს მოცემულ ნაგებობას ლ. რჩეულიშვილი „უმადლო საყდარს“. ვარაუდის დაშვება, რომ ეს შესაძლოა, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ „შერქმეული“ სახელო ყოფილიყო, ჩვენი ხედვით აბსურდული იქნება რადგან, მოცემულ ტერიტორიაზე დღევანდელი სოფელი აქ ჰესების მშენებლობის შემდგომ გაჩნდა, რომელთა მშენებლობაც 1954 წელს დაიწყო, ხოლო ექსპლუატაციაში 1963 წელს შევიდა. ამ ტაძარს ჩვენი მსჯელობა კვლავაც დაუბრუნდება, მაგრამ მანამდე გვსურს ყურადღება გავამახვილოთ უშუალოდ ზედა ეკლესიის ლ. რჩეულიშვილისეულ ანალიზზე. 1944 წლის ექსპედივიის ჩანაწერების მიხედვით, მეცნიერი ტაძარს არ მოიხსენიებს, როგორც სამეკლესიან ბაზილიკას – აღწერისას ის წერს: „სამნავიანი ბაზილიკის აბრისით, მეტად ამაღლებული სახურავებით. გეგმით წარმოადგენს მთავარ განიერ და ხალვათ სივრცეს, რომელსაც მიდგმული აქვს უფრო დაბალი ჩრდილოეთი და სამხრეთი მინაშენები“ და იქვე: „ეკვდერები მთავარ სივრცესთან თითო კარითათ არის დაკავშირებული“ (რჩეულიშვილი, 1994:62) (ნახ. 4-5).

მოცემული მსჯელობის შემდგომ ავტორი ძალზე მოკლედ აღწერს ეკლესიას, რომლის პარალელურადაც გვთავაზობს გარკვეულ დასკვნებს მისი მხატვრული დონის, სამშენებლო თავისებურებებისა და თარიღის გამორკვევის მიზნით. ძეგლის „გვიანდელობაზე“ (იგულისხმება გვიანი შუა საუკუნეები – აქვე, ძალზე მოკლედ შევნიშნავთ, რომ ლ. რჩეულიშვილი ძეგლის კონკრეტულ თარიღს არ ასახელებს, მის მიერ რამდენიმეგზის განზოგადებით თქმული „გვიანდელობა“ ჩვენი ხედვით, უფრო XVI-XVII საუკუნეებს უნდა გულისხმობდეს) მისი ხედვით მიუთითებს რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებელი:

კამარის, სატრიუმფო და საბჯენი თაღების შეისწული (ზოგად შეკვერცხილი) ფორმები, რასაც ემატება სამხრეთი ფასადის სარკმლების ამგვარივე ფორმები, რასთან დაკავშირებითად მეცნიერი შენიშნავს: „დანარჩენ სარკმლებს ნახევარწიული მოხაზულობა აქვთ. საფიქრებელია, რომ ისინიც ისრულია და ნალესობით არის წრიული ფორმა მიცემული“ (რჩეულიშვილი, 1994:63) (ნახ. 6-7).

- სამხრეთი და ჩრდილოეთი კარები შეხორცებულია მთავარი ეკლესიის შესაბამის პილასტრებთან – ორსავ შემთხვევაში კართაწირთხლებს მათგან დასავლეთით არსებული პილასტრები ებმის, რაც ლ. რჩეულიშვილის მოსაზრებით: „დაუშვებელია ძველ გომარულ-ზურტაკეტის ხუროთმოძღვრებაში“ (რჩეულიშვილი, 1994:64).
- სივრცითი ორგანიზება, სადაც ავტორი ამბობს: „შიდა სივრცე მაგონებს კახეთის გვიანა სივრცეებს (საგარეჯოს პეტრე-პავლე), შიგა გაფორმება სარკმლებით უმასშტაბოა,

პრეტენზიული, მაგრამ უგემოვნო“ (რჩეულიშვილი, 1994:64). ასევე ახასიათებს მეცნიერი სამხრეთი შესასვლელი პორტალის გაფორმება-პროფილირებას.

- ტაძრის ძალზე ძუნწი მორთულობის ელემენტები და მათი შესრუილების თავისებურებები. ამ შემთხვევაშიც ავტორი შენიშნავს: „მთელი დეკორი და კომპოზიცია მშრალია, უსიცოცხლო და კარგ აღმშენებლობის პერიოდს არ მიეკუთვნება, თუმცა ნაგებობა ტექნიკურად არაა მდარე“ (რჩეულიშვილი, 1994:64).

ყოველივე ზომოთქმული ლ. რჩეულიშვილის 1944 წლის ექსპედიციის შთაბეჭდილებებს ასახავს. უკვე 1970 წელს, ძეგლთა მეორე მონახულების შემდგომ მკვლევარი დამატებით შენიშნავს: „ეკლესია ისევ არ იძლევა მკაფიო მაჩვენებლებს პარალელებისათვის, თუმცა მისი გვიანდელობა უდავოა!“ (რჩეულიშვილი, 1994:64). არსებითად იგივეა მისი განწყობა-დამოკიდებულება ტაძრის მხატვრული რაობის შესახებ: „...მაგრამ საკურთხევლის მთავარი სარკმლის გაფორმება აქ ძალიან არქაულია. ასეთი კომპოზიცია (იგულისხმება აღმოსავლეთი ფასადის ცენტრალური სარკმლის თავზე არსებული გაფორმება ნ.ა.) დამახასიათებელია გარდამავალი პერიოდისთვის და აქ მკაფიო ანაქრონიზმად გამოიყურება. ისეთი შტაბეჭდილებაა, რომ ოსტატმა არ იცის ქართული დეკორი, იგი არც ბაძავს მას (ვერც ერთი ეპოქისთვის ვერ იპოვით ისეთი ბრტყელი კვეთის საპირეებს, როგორიც შემოვლებული აქვს აღმოსავლეთი ფასადის მეორეხარისხოვან სარკმლებს)“ (რჩეულიშვილი, 1994:65).

ასევე მოკლედ უნდა შევეხოთ ლ. რჩეულიშვილის მოსაზრებებს ე.წ. „უმადლო საყდრის“ შესახებ – მინიმუმ იმის გამო, რომ მკვლევართა შორის ის პირველთაგანია, ვინც ამ ნაგებობას მოიხილავს და იხსენიებს მოცემულ ტერიტორიაზე. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მკვლევარმა ხეობა ორგზის მოინახულა. აქედან პირველი ექსპედიციის დროს ლ. რჩეულიშვილს ხსენებული ნაგებობა სამკელესიიან ბაზილიკად მიუჩნევია: „„მონასტრის“ უფრო დაბლა დგას რიყის ქვის სამეკლესიიანი ბაზილიკა მაღალი შუა ეკლესიით და უფრო დაბალი ჩრდილოეთი და სამხრეთი ეკლესიებით“ (რჩეულიშვილი, 1994:65) (ნახ. 8-9, სურ. 5). ამის შემდგომ მეცნიერი ძალზე მოკლედ აღწერს ნაგებობის სამხრეთ და ჩრდილოეთ ეკლესიებს, მაგრამ როგორც ჩანს, მისი შეხედულება შენობის ტიპოლოგიასთან დაკავშირებით მოგვიანებით იცვლება და უკვე 1970 წლის ექსპედიციის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „როგორც ჩანს, თავდაპირველად გაუშენებიათ ეკელესია მხოლოდ სამხრეთი ეკვდერით. შემდგომშია მიდგმული ჩრდილოეთი ეკლესია (გამოირჩევა მასალით, ტექნიკით), ხვრელიც განგრეული ჩანს“ (რჩეულიშვილი, 1994:65) (სურ. 6-7, ნახ. 10). დასასრულ მოკლედ უნდა ითქვას, რომ ამ ტაძრის უზოგადესი დახასიათებისას ლ. რჩეულიშვილი წერს: „მთავარი ეკლესია: მაღალი, აზიდული – ადრეფეოდალური ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი პროპორციებით“ (რჩეულიშვილი, 1994:65).

ამრიგად, ლ. რჩეულიშვილის მიერ ორივე ეკლესიის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები ორი სხვადასხვა დროის ექსპედიციისას წარმოებულ დაკვირვებებს ემყარება და ძალზე განზოგადებულად ასე გამოიყურება: ე.წ. „უმადლო საყდარი“ უფრო ადრეული ვიდრე ზედა, დიდი ეკლესია. ამასთანავე ის მკვლევარს პირველი ექსპედიციისას სამეკლესიიან ბაზილიკად ჩაუთვლია, ხოლო შემდგომ დარბაზულ ეკლესიად სამხრეთი მინაშენით. ზედა

ეკლესია, ლ. რჩეულიშვილის სახელდებითაც „მონასტერი“, საკმაოდ გვიანი ჩანს, თუმცა ის არ ასახელებს კონკრეტულ თარიღს.

კიდევ ერთი მკვლევარი, რომელიც აღნიშნულ ტაძრებს შეეხო თავის ნაშრომში ვ. ბერიძეა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი მხოლოდ ზედა, დიდ ეკლესიას მოიხსენიებს. ვ. ბერიძე „ვარდისუბნის“ დიდი ეკლესიის შესახებ მსჯელობისას წერს: „პირველი ძეგლი, რომელიც თავისი ტიპით იპყრობს ყურადღებას – ე.წ. „მონასტერია“ მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირზე (თეთრი წყაროს რაიონი) ლიტერატურაში იგი მხოლოდ თაყაიშვილის აღწერითაა ცნობილი.“ (ბერიძე, 1994:11). აქვე მოკლედ უნდა შევნიშნოთ, რომ წინამდებარე ძეგლების შესახებ პროფესიული, სახელოვნებათმცოდნეო სამეცნიერო ნაშრომები (რაღა თქმა უნდა, ექვთ. თაყაიშვილის შემდგომ), ერთდროულად გამოქვეყნდა 1994 წელს ორი ავტორის – ვ. ბერიძისა და ლ. რჩეულიშვილის წიგნები. აქედან, ლ. რჩეულიშვილის რამდენიმეგზის დამოწმებული წიგნი ავტორის გარდაცვალების შემდგომ, მისივე საარქივო მასალების საფუძველზე გამოქვეყნდა. მნიშვნელოვანია, რომ ისევე, როგორც ლ. რჩეულიშვილი, ვ. ბერიძეც პირველად აღნიშნული ხეობის ძეგლებს 1944 წელს გაეცნო, უფრო მეტიც, ეს ორი მკვლევარი ერთობლივი ექსპედიციის ფარგლებში მუშაობდა და იკვლევდა ხსენებულ ტერიტორიას. „1944 წელს, როცა მე პირველად ვნახე ძეგლი, იქაურობა უდაბური იყო. ხრამჰესის აგების შემდეგ აქ სოფელი გაჩნდა. ერთხანს მას „ხრამჰეს – II-ს“ უწოდებდნენ, ახლა ბედიანი დაერქვა. ეკლესია მის განაპირას აღმოჩნდა“ (ბერიძე, 1994:11). ვ. ბერიძე აღწერს რა ნაგებობის ძირითად მახასიათებლებს, შენიშნავს: „ამგვარად, არსებითად, ეს სამეკლესიიანი ბაზილიკაა, მაგრამ ადრინდელ ნიმუშებთან შედარებით რამდენადმე უფრო მარტივი: მას არ აქვს დასავლეთის დერეფანი, რომელიც განაპირა ეკლესიას აკავშირებს, თავად ამ განაპირა ეკლესიებშიც მარტივი ერთიანი სივრცეა“ (ბერიძე, 1994:11). ამას არსებითი მნიშვნელობა სრულებითაც არ აქვს, მაგრამ გვსურს მოკლედ შევნიშნოთ, რომ ქართლის ადრეული სამეკლესიიანი ბაზილიკები, სწორედ რომ ამ ტიპის გეგმარებით ხასიათდება და სრულებით მარტივ ფორმას წარმოადგენს, განსხვავებით ვ. ბერიძის მიერ მოხმობილი ვარიაცია, რომელიც მაინც ტიპის კახური განვითარების შედეგს წარმოდგენს. ვ. ბერიძე ძალზე ზუსტად და ვრცლად აღწერს ძეგლის კონკრეტულ რაობასა და მის მხატვრულ გადაწყვეტას, რომლის შემდგომაც ის სვამს რამდენიმე, ძალზე არსებით კითხვას – მათ შორის, უმნიშვნელოვანესია ტიპის ხელახალი „გაჩენა“ გვიან შუა საუკუნეებში. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ნაგებობის დათარიღების საკითხი, რომლის შესახებაც მეცნიერი შენიშნავს: „იმ ადრეულ ხანაზე ხომ ლაპარაკი სულ არ შეიძლება (იგულისხმება სამეკლესიიანი ბაზილიკის ჩამოყალიბება-გავრცელების პერიოდი. ნ.ა.), მაგრამ X-XIII სს. ეპოქაც გამორიცხულია: ამას მოწმობს მთლიანი სახეც და დეტალებიც“ (ბერიძე, 1994:13). იმავე აზრს აგრძელებს ავტორი და წერს: „საერთო შთაბეჭდილება ის არის, რომ „მონასტერი“ უეჭველად დაკავშირებულია ამ ხანის ტრადიციებთან (მხედველობაში აქვს სწორედ X-XIII საუკუნეთა ქართლური ხუროთმოძღვრების ხაზი. ნ. ა.) თავისი საერთო ფორმებით, შენების ხასიათითა და ხარისხითაც, მაგრამ იმავე დროს, მხატვრული თვალსაზრისით, უკვე აშკარად ატარებს ჩამოქვეითების ნიშნებს.“ ძეგლის საერთო შთაბეჭდილებას, შენების ხასიათსა და ხარისხს ვ. ბერიძე სწორედ X-XIII საუკუნეების ტრადიციებს უკავშირებს, თუმცა ნაგებობა მხატვრული

თვალსაზრისით უკვე აშკარად ატარებს ჩამოქვეითების ნიშნებს. ვ. ბერიძე სიღრმისეულად აანალიზებს და მართებულად შენიშნავს, რომ ძეგლი: „იმ დროს არის შექმნილი, როცა მტკიცედ შემუშავებული ნორმები, საერთო ჩანაფიქრის მთლიანობა და ლოგიკა უკვე დარღვეულია, ან რღვევას იწყებს მაინც“ (ბერიძე, 1994:13). მეცნიერი ნაგებობის შიდა სივრცის მონაცემების (მისი ძლიერ აზიდული პროპორცია) და მისი განათების წყაროთა განთავსების სპეციფიკური გადაწყვეტის საფუძველზე (აღმოსავლეთით ოთხი სარკმელი და სხვ.), სავსებით სამართლიანად, გამორიცხავს მის აგებას X-XIII საუკუნეებში.

კიდევ ერთი მეცნიერი, რომლის კვლევის არეალშიც მოხვდა ზემოთ ხსენებული ძეგლები, თუმცა განსხვავებული სპეციფიკით – დ. ბერძენიშვილია მასთან ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიის კონტექსტში, ძალზე მცირე აბზაცით შემოდის სოფელ „ვარდისუბნის“ ზედა ეკლესია და უშუალოდ ამ ნაგებობასთან დაკავშირებული გარკვეული ინფორმაცია. გარდა ძეგლის ძალზე მოკლე აღწერა-დახასიათებისა, დ. ბერძენიშვილი ყურადღებას ამახვილებს იმ არსებითად მნიშვნელოვან წარწერაზე, რომელიც, როგორც ვიცით, ჯერ კიდევ ექვთ. თაყაიშვილს უნახავ და ვერ ამოუკითხავს. დ. ბერძენიშვილი წერს: „ეკლესიაში გდია მოზრდილი ლოდი სამსტრიქონიანი წარწერით, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილს ჯერ კიდევ სამხრეთი შესასვლელის თავზე დახვედრია XIX ს-ის ბოლოს. მეცნიერს ეს უცნაური წარწერა თურქული თუ არაბული მოსჩვენებია და ვერ ამოუკითხავს... სინამდვილეში ესაა ქართული მხედრულით (თუმცა უჩვეულო) შესრულებული წარწერა, სადაც ქვის შეწირვაზე უნდა იყოს საუბარი; იგი ასე იკითხება: **„...გჯჩძ (ე) მ (ა) ნ შ (ე) ეს (წირე) დ (ა) იჯს (ე) ნ ს(ა) ტ (ა) ნჯ (ვე) ლისაგ (ა) ნ სულის (ა)“** (ბერძენიშვილი, 2014:227). საყურაღდებო წარწერასთან მიმართებით ერთი საკითხია – როგორც ვნახეთ, ექვთ. თაყაიშვილის აღწერის მიხედვით, წარწერა ორსტიქონიანი უნდა ყოფილიყო და მისივე რწმუნებით პირველი სტრიქონი ვანდალურად გადაშლილი, ვ. ბერიძის 1970 წელს ეს ქვა შუაზე გატეხილი დახვედრია, ხოლო დ. ბერძენიშვილი დაზიანებულ არეებზე საერთოდ არ საუბრობს და წარწერას სამსტრიქონიანად მოიხსენიებს. ამ საკითხს ალბათ არსებითი მნიშვნელობა სრულებითაც არ აქვს – ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ სამივე მათგანი ერთსა და იმევე ლოდზე საუბრობს. სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევაშიც მცირედ გაუგებრობას უნდა ჰქონდეს ადგილი, რომლის საგანგებო რკვევაც ჩვენს ინტერესებს სცილდება. აღნიშნულის გარდა დ. ბერძენიშვილი უშუალოდ ნაგებობის შესახებ არაფერს ამბობს, გარდა იმისა, რომ ძეგლის გეგმარებითი სტრუქტურის ანალიზისას, სავარაუდოდ ექვთ. თაყაიშვილის აღწერას მისდევს და მას მოიხსენიებს, როგორც დარბაზულ ეკლესიას ორმხრივი მინაშენებით, რაც არსებითად ასე არაა. აქვე გვსურს ხაზი გავუსვათ იმ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ დ. ბერძენიშვილის ეს ნაშრომი მისი გარდაცვალების მერე გამოვიდა, ხოლო მკვლევარმა აღნიშნული ტერიტორიის დაზვერვითი სამუშაოები, სავარაუდოდ, გასულ საუკუნეში განახორციელა, რასაც ადასტურებს მისი ტექსტის ერთი ნაწილი: „ეკლესიაში გდია მოზრდილი ლოდი სამსტრიქონიანი წარწერით...“ (ბერძენიშვილი, 2014:227). არსებული აღწერების მიხედვით, უშუალოდ წარწერიანი ლოდის შესახებ, ჩვენ შეგვიძლია თვალი გავადევნით მისი გადაადგილების ტრაექტორიას – XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, ექვთ. თაყაიშვილის ქვა ჯერ კიდევ ეკლესიის კედლის სტრუქტურაში უნდახავს. 1944 წელს ეს, ვ. ბერიძის მტკიცებით, ის

სამხრეთ ეკლესიაში ეგდო, სრულებით მთელი, ხოლო 1970 წელს უკვე შუაზე იყო გატეხილი და იმავე სამხრეთ ეკლესიაში იყო განთავსებული. უკვე მოგვიანებით, სავარაუდოდ XX საუკუნის 70-იანი წლების შემდგომ ხანებში, დ. ბერძენიშვილიც ტაძრის სივრცეში ნახულობს აღნიშნულ ქვას, ხოლო სადღეისოდ, მას შემდეგ რაც აქ სამონასტრო ცხოვრება აღდგა, ანუ 1990-იანი წლებიდან დედათა მონასტერი დაფუძნდა, ლოდი ეკლესიის ეზოში იქნა გადატანილი. დასასურლ კი ყველაზე მნიშვნელოვანი – დ. ბერძენიშვილი წაკითხული წარწერის შინაარსის მიხედვით ვარაუდობს, რომ ეს უკანასკნელი ეკლესიის მშენებლობისთვის ქვის შეწირვას უნდა ასახავდეს, ხოლო პალეოგრაფიული ანალიზით, მისივე დასკვნით: „წარწერა XV ს-ისა უნდა იყოს“ (ბერძენიშვილი, 2014:227). ჩვენი ხედვით, მკვლევარის მიერ შემოთავაზებული წაკითხვიდან ასე მკაფიოდ თითქოს არ უნდა ჩანდეს, რომ წარწერა ნადვილად ქვის შეწირვას ეხება, თუმცა ეს ცალკე მსჯელობისა და სხვა დისციპლინის კვლევის საგანია.

დასკვნა. ერთგვარი შეჯამების სახით უპირველესად უნდა ითქვას, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი ტექსტი საჭიროებს განვრცობას და გარკვეული დეტალების დაზუსტებას. აუცილებლად მიგვაჩნია კვლევის რამდენიმე ასპექტის გაღრმავება და ამ ხაზის სრულყოფა – მეტადრე, კომპარატივისტული ანალიზისა, რომელიც ფაქტობრივად არც კი შემოდის აღნიშნული კვლევის ნაწილში. კვლევის ამ ეტაპზე, წინამდებარე წერილისთვის დასახული მოცემულობის გათვალსწინებით, კვლევის სრული სახით წარმოდგენა სცილდება ჩვენს ამოცანებს, განსაკუთრებით ტექნიკურ ნაწილში, თუმცა საჭიროდ მიგვაჩნია დასკვნითი ნაწილის გამართული ფორმულირება.

რაც შეეხება კვლევის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების შეჯამებას, მოკლედ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს სოფელ „ვარდისუბნის“ ორ ეკლესიასთან, რომლებიც, დიდი ალბათობით, ერთმანეთის გავლენით შენდება და ეს აისახება მათ გეგმარებაზე. აღსანიშნავია, რომ სოფლის ქვედა, ანუ მცირე ეკლესია შედარებით ადრეულია (ამ ეტაპზე კითხვის ნიშნები არ გაგვაჩნია მისი გარდამავალი ხანით დათარიღების თვალსაზრისით) და თარიღდება IX-X საუკუნეებით, ხოლო მეორე, ზედა, დიდი ეკლესია ამ უკანასკნელის გეგმარებით „შთაგონებული“ – XV საუკუნის აღმშენებლობად უნდა მივიჩნიოთ, რასაც ეთანხმება კიდევაც ტაძრის ბალავრის ქვაზე არსებული მხედრული წარწერის პალეიგრაფიული ანალიზი. ცხადია, საჭიროა დამატებითი კვლევები და, მათ შორის, უშუალოდ ძეგლთა კომპარატივისტული ანალიზი, თუმცა ამ ეტაპზე შესაძლებელია ზემოხსენებული დასკვნები დამაჯერებლად მივიჩნიოთ.

გამოყენებული ლიტერატურა

ნარიმანიშვილი, გ. შანშიაშვილი, ნ. კვაჭაძე, მ. (2018). *თრიალეთი, კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, უძველესი წყაროები და კვლევის პერსპექტივები.* თბილისი: საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

ბერძენიშვილი, დ. (2014). *ნარკვევები ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან.* თბილისი: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.

თაყაიშვილი, ე. (2018). *თხზულებანი, V ტომი.* რ. მეტრეველის რედაქციით. თბილისი: „არტანუჯი“.

ბერიძე, ვ. (2014). *ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია.* ტომი I. თბილისი: გ. ჩუბინაშვილის საცელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი.

ბერიძე, ვ. (2014). *ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია.* ტომი II. თბილისი: გ. ჩუბინაშვილის საცელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი.

ბერიძე, ვ. (1994). *XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება.* თბილისი: „კანდელი“.

ბატონიშვილი ვ. (1973*). ქართლის ცხოვრება.* ტომი IV. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ს. ყაუხჩიშვილის საერთო რედაქციით. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

ლორთქიფანიძე, ი. (1935). *ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში.* ტომი I-II. ტფილისი: „ტექნიკა და შრომა“.

გამყრელიძე, გ. მინდორაშვილი, დ. ბრაგვაძე, ზ. კვაჭაძე, მ. (2013). *ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი.* თბილისი: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“.

რჩეულიშვილი, ლ. (1994). *ქართული ხელოვნების ისტორიის ნარკვევები.* თბილისი: გ. ჩუბინაშვილის საცელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი.

ქართული სამართლის ძეგლები. ტომი II. (1965). საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ი. დოლიძის რედაქციით. თბილისი: „მეცნიერება“.

ქართული სამართლის ძეგლები. ტომი III. (1970). საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ი. დოლიძის რედაქციით, თბილისი: „მეცნიერება“.

საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში, (საქართველოს ისტორიული ტოპონიმების კორპუსი). ტომი პირველი. (2010). დ. მუსხელიშვილის რედაქციით. თბილისი: „უნივერსალი“.

ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები. თ. ჟორდანიას რედაქციით. (1903). ფოთი: ალექსანდრე ეპისკოპოსის გამოცემა, ლ. მ. ტუღუშის სტამბა.

ბაგრატიონი, ი. (1986). *ქართლ-კახეთის აღწერა, ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები.* V. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა. სერიის რედაქტორი რ. კიკნაძე. თბილისი: „მეცნიერება“.

კახაძე, კ. (2003). *საქართველოს ისტორიული გეოგრაფია.* თბილისი: „კაბადონი“.

მასალანი საქართველოს სტატისტიკის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში: I. აღწერა მეწინავე დროშისა საბარათაშვილოსა და სომხითისა. შედგენილი მეფის ვახტანგ მეექვსის ბრძანებით ვახუშტი ბატონიშვილის და გივი თუმანიშვილის მიერ 1721 წელს, II. აღწერა არაგვის ხეობისა, შედგენილი მეფის ირაკლი მეორის ბრძანებით ლუარსაბ მაყაშვილის და მანუჩარ თუმანიშვილის მიერ 1774 წელს. (1907). ე. თაყაიშვილის რედაქციით, თბილისი: „ძმობისა“.

მაისურაძე, გ. (1999). *საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები (IV-XVIII სს.).* წიგნი II. თბილისი: „მეცნიერება“.

Такаишвили, Е. (1913). *Археологические екскурсии, разыскания и заметки.* вып. IV. Тифлиси: ИКОИМАО.

REFERENCES

narimanishvili, g. shanshiashvili, n. k'vach'adze, m. (2018). trialeti, k'ult'urul-ist'oriuli memk'vidreoba, udzvelesi ts'qaroebi da k'vlevis p'ersp'ekt'ivebi. tbilisi: sakartvelos erovnuli muzeumi.

berdzenishvili, d. (2014). nark'vevebi kvemo kartlis ist'oriuli geograpiidan. tbilisi: sakartvelos k'ult'uruli memk'vidreobis datsvis erovnuli saagent'o.

taqaishvili, e. (2018). tkhzulebani, V t'omi. r. met'revelis redaktsiit. tbilisi: „art'anuji“.

beridze, v. (2014). kartuli khurotmodzghvrebis ist'oria. t'omi I. tbilisi: g. chubinashvilis satselobis kartuli khelovnebis ist'oriisa da dzeglta datsvis erovnuli k'vleviti tsent'ri.

beridze, v. (2014). kartuli khurotmodzghvrebis ist'oria. t'omi II. tbilisi: g. chubinashvilis satselobis kartuli khelovnebis ist'oriisa da dzeglta datsvis erovnuli k'vleviti tsent'ri.

beridze, v. (1994). XVI-XVIII sauk'uneebis kartuli saek'lesio khurotmodzghvreba. tbilisi: „k'andeli“.

bat'onishvili v. (1973). kartlis tskhovreba. t'omi IV. aghts'era sameposa sakartvelosa, s. qaukhchishvilis saerto redaktsiit. tbilisi: „sabch'ota sakartvelo“.

lortkipanidze, i. (1935). kvemo kartli XVIII sauk'unis p'irvel nakhevarshi. t'omi I-II. t'pilisi: „t'eknik'a da shroma“.

gamqrelidze, g. mindorashvili, d. bragvadze, z. k'vach'adze, m. (2013). kartlis tskhovrebis t'op'oarkeologiuri leksik'oni. tbilisi: „bak'ur sulak'auris gamomtsemloba“.

rcheulishvili, l. (1994). kartuli khelovnebis ist'oriis nark'vevebi. tbilisi: g. chubinashvilis satselobis kartuli khelovnebis ist'oriisa da dzeglta datsvis erovnuli k'vleviti tsent'ri.

kartuli samartlis dzeglebi. t'omi II. (1965). saero sak'anonmdeblo dzeglebi (X-XIX ss.), i. dolidzis redaktsiit. tbilisi: „metsniereba“.

kartuli samartlis dzeglebi. t'omi III. (1970). saek'lesio sak'anonmdeblo dzeglebi (XI-XIX ss.), i. dolidzis redaktsiit, tbilisi: „metsniereba“.

sakartvelos ist'oria t'op'onimiashi, (sakartvelos ist'oriuli t'op'onimebis k'orp'usi). t'omi p'irveli. (2010). d. muskhelishvilis redaktsiit. tbilisi: „universali“.

kartl-k'akhetis monast'rebis da ek'lesiebis ist'oriuli sabutebi. t. zhordanias redaktsiit. (1903). poti: aleksandre ep'isk'op'osis gamotsema, l. m. t'ughushis st'amba.

bagrat'ioni, i. (1986). kartl-k'akhetis aghts'era, kartuli saist'orio mts'erlobis dzeglebi. V. t'ekst'i gamosatsemad moamzades t. enukidzem da g. bedoshvilma. seriis redakt'ori r. k'ik'nadze. tbilisi: „metsniereba“.

k'akhadze, k'. (2003). sakartvelos ist'oriuli geograpia. tbilisi: „k'abadoni“.

masalani sakartvelos st'at'ist'ik'is aghts'erilobisa metvramet'e sauk'uneshi: I. aghts'era mets'inave droshisa sabaratashvilosa da somkhitisa. shedgenili mepis vakht'ang meekvsis brdzanebit vakhusht'i bat'onishvilis da givi tumanishvilis mier 1721 ts'els, II. aghts'era aragvis

kheobisa, shedgenili mepis irak'li meoris brdzanebit luarsab maqashvilis da manuchar tumanishvilis mier 1774 ts'els. (1907). e. taqaishvilis redaktsiit, tbilisi: „dzmobisa“.

maisuradze, g. (1999). sakartvelos somkhuri mosakhleobis ist'oriis sak'itkhebi (IV-XVIII ss.). ts'igni II. tbilisi: „metsniereba“.

Takaishvili, E. (1913). Arheologicheskie ekskursii, razyskanija i zametki. vyp. IV. Tiflisi: IKOIMAO.



ნახ. 1. ვარდისუბანი (ბედიანი), „უმადლო საყდარი“, აღმოსავლეთი ფასადი, ნახაზი: გ. მისრიაშვილი

სურ. 1. ვარდისუბანი (ბედიანი), „უმადლო საყდარი“, აღმოსავლეთი ფასადი, სარკმლის თავსართი, ფოტო: გ. მისრიაშვილი



ნახ. 2-3. ვარდისუბანი (ბედიანი), „მონასტერი“, ღვთისმშობლის შობის ეკლესია, გეგმა და აღმოსავლეთი ფასადი, ნახაზი: ვ. ბერიძე



სურ. 2. ვარდისუბანი (ბედიანი), „მონასტერი“, ღვთისმშობლის შობის ეკლესია, აღმოსავლეთი ფასადი, ფოტო: ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტო

სურ. 3. ვარდისუბანი (ბედიანი), „მონასტერი“, ღვთისმშობლის შობის ეკლესია, გეგმა და სამხრეთი ფასადი, ფოტო: ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტო

სურ. 4. ვარდისუბანი (ბედიანი), „მონასტერი“, ღვთისმშობლის შობის ეკლესია, გეგმა და სამხრეთი ფასადი, ფოტო: ლაშა გაბელია



ნახ. 4-5. ვარდისუბანი (ბედიანი), „უმადლო საყდარი“, გეგმა და ჭრილი სამხრეთით, ნახაზი: გ. მისრიაშვილი



ნახ. 6-7. ვარდისუბანი (ბედიანი), „მონასტერი“, ღვთისმშობლის შობის ეკლესია, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთით და ინტერიერი, საკურთხევლის აფსიდი, ნახაზი: ვ. ბერიძე



ნახ. 8-9. ვარდისუბანი (ბედიანი), „უმადლო საყდარი“, სამხრეთი და დასავლეთი ფასადები, ნახაზი: გ. მისრიაშვილი

სურ. 5. ვარდისუბანი (ბედიანი), „უმადლო საყდარი“, ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთით, სურათი: გ. მისრიაშვილი

სურ. 6-7. ვარდისუბანი (ბედიანი), „უმადლო საყდარი“, სამხრეთი და ჩრდილოეთი ეკვდერები, სურათი: გ. მისრიაშვილი



ნახ. 10. ვარდისუბანი (ბედიანი), „უმადლო საყდარი“, სამხრეთი და დასავლეთი ფასადები, ნახაზი: გ. მისრიაშვილი